



NCYOG



ახალგაზრდობა მნიშვნელოვანია

საქართველოს ახალგაზრდულ ორგანიზაციათა ნაციონალურმა საბჭომ დაიწყო ახალგაზრდობის სააგენტოს მიერ დაფინანსებული პროექტი “ახალგაზრდობა მნიშვნელოვანია” რომლის მიზანია წვლილი შეიტანოს ახალგაზრდული ორგანიზაციების გაძლიერებასა და ისეთი გარემოს შექმნაში, სადაც ახალგაზრდულ ორგანიზაციებს ექნებათ მდგრადი სისტემა და სრულყოფილად უწყობენ ხელს ახალგაზრდების პოტენციალის თვითრეალიზებასა და მათ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

პროექტის ერთ-ერთი ამოცანაა:

- საქართველოში რეგისტრირებული ახალგაზრდული ორგანიზაციების სტრუქტურის, მუშაობის სისტემის, სამოქმედო გეგმის, არსებული რესურსებისა და საჭიროებების შესახებ კვლევა;

შესაბამისად გვესაჭიროება კვლევის ექსპერტი, რომელიც პროექტის ფარგლებში განხორციელებს ახალგაზრდული არასამთავრობო სექტორის მმართველობისა და სტრუქტურის სისტემის კვლევას.

ზოგადი აღწერილობა:

- კვლევა - შესაძლებელია განხორციელოდეს ონლაინ კითხვარებისა და ინტერვიუების საფუძველზე. გამოკითხული უნდა იყოს მინიმუმ 150 ახალგაზრდული ორგანიზაცია, მათ შორის ქოლგა ორგანიზაციის წევრი ორგანიზაციები, პროექტის ბენეფიციარი ორგანიზაციები, ახალგაზრდობის სააგენტოს გრანტის ფარგლებში დაფინანსებული ორგანიზაციები, ახალგაზრდობის სააგენტოსა და ევროპის საბჭოსთან 2020 წლის თებერვლის თვეში სტრასბურგში განხორციელებული 50/50 ტრეინინგის მონაწილე ორგანიზაციები და სხვა მოხალისეობაზე დაფუძნებული ახალგაზრდული ორგანიზაციები. მათ შორისაა: საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლობები საქართველოში, უმცირესობებზე მომუშავე ორგანიზაციები, შშმ პირთა ორგანიზაციები, დევნილებთან მომუშავე, ლოკალური, რეგიონებში არსებული და მოწყვლად ჯგუფებთან მომუშავე ორგანიზაციები.

- კვლევა პირველად განხორციელოდება საქართველოში, რადგან არც ერთ კვლევაში არ ხდება კონკრეტულად ახალგაზრდული ორგანიზაციების იდენტიფიცირება და იმის განსაზღვრა, რა სტრუქტურით მუშაობენ ისინი, როგორი მმართველობა აქვთ და რა რესურსები გააჩნიათ ან რა კონკრეტული საჭიროებები და გამოწვევები არსებობს მათთვის.

- კვლევის სავარაუდო შედეგები და რეკომენდაციები გათვალისწინებული იქნება ტრეინინგების პროგრამულ ნაწილში.

კვლევის ექსპერტის ვალდებულებები:

- კვლევის დიზაინისა და მეთოდოლოგიის შერჩევა.
- კვლევისთვის კითხვარების მომზადება.
- კვლევის განხორციელება.
- კვლევის საბოლოო წარატიული ანგარიშის მომზადება.

სავალდებულოა:

- პროექტის გუნდთან შეთანხმებით მუშაობა.
- კვირის ბოლოს პროექტის გუნდისთვის ანგარიშის ჩაბარება.
- პროექტით დადგენილი ვადების დაცვა.

კვალიფიკაცია:

- ხარისხობრივი და რაოდენობრივი კვლევების ანალიზის გამოცდილება.
- კვლევების ჩატარების გამოცდილება (მინიმუმ 1 კვლევა).
- ანალიტიკური უნარები.
- კვლევის ანგარიშის წერის უნარი.
- მოცემული ვადების დაცვა.
- სასურველია ახალგაზრდულ სფეროში გამოცდილება.

სამუშაოს ხანგრძლივობა: **15** სექტემბერი - **15** ნოემბერი.

განაცხადების მიღების ბოლო ვადაა 2020 წლის 11 სექტემბერი,
20:00 საათი.

დაინტერესების შემთხვევაში გთხოვთ გამოგზავნოთ:

1. თქვენი CV ქართულ ენაზე

2. შემოთავაზება თქვენთვის მისაღები ანაზღაურების შესახებ და მეთოდოლოგია რასაც გამოიყენებთ კვლევის პროცესში.

ელ.ფოსტაზე: **YOUTHMATTERS.NCYOG@GMAIL.COM.**

არ განიხილება:

- ვადაგადაცილებული განაცხადები.
- განაცხადები, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ მითითებულ კრიტერიუმებს.
- სამუშაო ვადების შემცირების შემთავაზება.

დამატებითი კითხვების შემთხვევაში დაგვიკავშირდით.